საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #21

2019წ. 25 იანვარი 11.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლ.დარახველიძე, მ.ამაშუკელი,
ი. ჯიშკარიანი, ჯ.ჯიშკარიანი, ფ.ინჯია,
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლ;ია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (№12-031902271-03)

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2018 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და 2019 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენების გავალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 72 650,3 ათასი ლარით და შეადგენს 1 000 281,8 ათას ლარს, მათ შორის სხვა შემოსავლები იზრდება - 9 500,0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლება - 1 000,0 ათასი ლარით და ნაშთის ცვლილება - 62 150,3 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი 57 804,9 ათასი ლარი და 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გზების რეაბილიტაციის მიზნით გამოყოფილი თანხებიდან არსებული ნაშთი 4 345,4 ათასი ლარი. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის და დიდუბის რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ფ.ინჯიამ, ლ.არველაძემ

საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა ამომწურავი პასუხი გასცეს ყველა დასმულ შეკითხვას.

დაადგინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია